

მთავრობის ზომის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველო 2002-2008 წლებში)

სულხან ტაბაღუა

ა(ა)იპ საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს (GBER)

ადმასრულებელი დირექტორი

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, ფისკალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის შედეგად შემცირდა გადასახადების ოდენობა, 21 გადასახადიდან დარჩა 6. საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები რომლის შედეგად 2009 წლის 1 იანვრიდან გამარტივდა საგადასახადო რეგისტრაციისა და საინდენტიფიკაციო კოდის მინიჭების პროცედურა. ცვლილებები შეეხო საგადასახადო ადმინისტრირებას, რასაც საგადასახადო შემოსავლების ზრდა მპოყვა, კერძოდ 2000 წელს საგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ში შეადგენდა 14.1%, 2004 წელს 18.6% იყო, შემდგომ წლებში კი განუხრელად იზრდება, 2005, 2006, 2007 წლებში შესაბამისად 20.8%, 22.9%, 25.8%, 2008 წელს 24.9% შეადგინა. საგადასახადო სისტემაში არსებული დადებითი ძვრები გახდა ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მიზეზი, რაც გახდა ეკონომიკური ზრდის ტემპის სტიმულირება ერთერთი განმაპირობებელი ფაქტორი. ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს (12.3%), 2008 წელს განვითარებული მოვლენების შედეგად (როგორც შიდა ასევე საგარეო) ეკონომიკური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შემცირდა (2.3%).

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა ხელს უწყობს სახელმწიფოს მხრიდან შემოსავლების საზოგადოების წევრებს შორის გადანაწილებას, სამართლიანობის პრინციპის ამაღლებას. ეს უკანასკნელი შეიძლება ბევრად უფრო ეფექტიანი იყოს საბაზრო ინსტიტუტების განვითარების დაბალი დონის პირობებში.

ფისკალურ პოლიტიკაში არსებული მიღწევების მიუხედავად ადგილი აქვს უარყოფით ძვრებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია საგარეო ვალის მაღალი ტემპებით ზრდა, 2000 წელს საქართველოს საგარეო ვალის შეფარდება მშპ 51%-იყო, შემდგომ წლებში კი შეიმჩნევა შეამცირების ტენდენცია, 2007 წელს შეადგინა 16.8%, 2008 წელს 16.4%. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის შედეგად მცირდება საგარეო ვალის მომსახურების ღირებულება. საგარეო ვალის მომსახურების წილი საბიუჯეტო შემოსავლებთან 2000 წელს იყო 13.1%, 2007-2008 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა 3.4% და 2.9%.

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდამ ხელი შეუწყო სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას, რაც საბიუჯეტო ხარჯების საბიუჯეტო ხარჯების ზრდაში აისახა, რომელიც 2000 წლიდან იწყებს ზრდას. სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის თავდაცვა, საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, 2003-2008 წწ ჩათვლით ამ სექტორში სახელმწიფო ხარჯები საშუალოდ 7.78% გაიზარდა, სახელმწიფო ხარჯებში მეორე ადგილი უკავია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას (რომელიც ყველაზე მაღალი იყო

2005 წელს 5.4%), შემდეგ მოდის სოციალურ დაცვაზე (2003-2008 წწ საშუალო წლიური ზრდა 4.1%), განათლებასა (2003-2008 წწ საშუალო წლიური 2.72% ზრდა) და ჯანდაცვაზე (2003-2008 წწ საშუალო წლიური 1.32%) სახელმწიფო ხარჯების წილი.

მნიშვნელოვანია ასევე, ინვესტიციების სტიმულირებისა და საინვესტიციო საქმიანობის გამჭვირვალობისათვის 2002 წელს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შექმნა, რომლის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრა კანონით. ძირითად ფუნქციებს შორის აღსანიშნავია: ა) საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი საწარმო-საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მექანიზმის შექმნა და მათი მართვის უზრუნველყოფა; ბ) საწარმო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისას საწარმო-საინვესტიციო პროექტების წარმდგენი ორგანიზაციებისადმი სამართლიანი და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების უზრუნველყოფა; გ) საწარმო-საინვესტიციო პროგრამების საჯაროობის უზრუნველყოფა; დ) საწარმო-საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებისა და სახელმწიფო ხელშეწყობის სისტემის შექმნის უზრუნველყოფა; ე) საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისათვის ხელის შეწყობა და ამ მიზნით სამართლებრივი საფუძვლის შექმნისათვის საჭირო წინადადებების შემუშავების ხელშეწყობა. ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განახლდა საქართველოსათვის მისაღები მოდელის „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თვიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“. საქართველოს ფასიან ქალაქების ბაზარზე მიმდინარე პროცესები და ამ კუთხით საკანონმდებლო სისტემის ნაკლებად გამართული ფუნქციონირება კი ამავე დროს ამცირებს ინვესტიციების შემოდინებას, რაც მნიშვნელოვანი დანაკარგია საინვესტიციო საქმიანობის, რაზეც მთლიან ინვესტიციებში პორტფელური ინვესტიციების წილი მიუთითებს. ფასიანი ქალაქების ბაზარზე ხშირ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს ფასიანი ქალაქები იყიდება, საკმაოდ მცირეა მცირე და საშუალო საწარმოების მხრიდან ფასიანი ქალაქების გათავსება, მიუხედავად იმისა რომ ქვეყნის შიგნით საწარმოთა ნაწილისათვის ეს მნიშვნელოვანი საშუალება იქნებოდა წარმოების სტიმულირების.

საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტების მიუხედავად მთავრობის ზომა განუხრელად იზრდება, 2000 წელს სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ 18.6% იყო, 2004 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 24.6%-მდე გაიზარდა. „მცირე ზომის მთავრობის“ ჩარჩოებიდან გამოვიდა 2006 წლიდან, მთავრობის ზომის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღწეულ იქნა 2008 წელს 36.3% მშპ-ში, 2000-2008 წწ საშუალოდ მთავრობის ზომა 25.7% იზრდება. ამავე პერიოდში საქართველოში ადგილი ქონდა ეკონომიკის საშუალოდ 7.15% ზრდას. საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს მოიცავს ახლო მომავალში შემდეგი ღონისძიებების გატარებას: საშემოსავლო გადასახადის თანდათანობით შემცირება 2011 წელს - 18%, 2012 წელს 15%; 2011- 2012 წწ საპროცენტო განაკვეთსა და დივიდენდებზე გადასახადის განულება; ბიუჯეტის პროფიციტის მშპ-თან მიმართებაში 0.5% დონის მიღწევა; კანონმდებლობით უკვე შექმნილი სპეციალური ფონდების ამოქმედება: „მომავალი თაობის

ფონდი“ და „სტაბილური განვითარების ფონდი“. „ მომავალი თაობის ფონდში“ განთავსდება ფისკალური პროფიციტის/ნაშთების 25%-მდე, საპრივატიზაციო/კაპიტალური შემოსავლების 75%. მთლიანობაში ფონდებში მინიმუმ აკუმულირებულ იქნება 3 მლრდ. ლარი; მთავრობის ზომის მშპ მიმართებაში 29%-დან 22%-მდე შემცირება.

როგორც ზემოთ აღინიშნა ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთი მთავრობის ზომის შემცირებას ეხება. მთავრობის ზომის ანალიზისათვის სხვადასხვა მაჩვენებელს იყენებენ, კერძოდ: ქვეყნის მთლიან აქტივებში სახელმწიფო აქტივების წილი; სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის თანაფარდობა მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობასთან; სახელმწიფო სექტორის გამოშვება; სახელმწიფო ინვესტიციების წილი ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებთან; სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან; საბიუჯეტო შემოსავლების წილი მშპ-ში. მთავრობის ზომის ქვეშ ცალკეულ მოდელებში იღებენ სახელმწიფო სექტორის მოხმარებას, მაგრამ ეს უკანასკნელი არის სახელმწიფო ხარჯების ნაწილი, რაც სახელმწიფო ხარჯების ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენისათვის საერთო სურათის შესაქმნელად არასაკმარისია, გამომდინარე აქედან მთავრობის ზომის უხშირეს შემთხვევაში ვგულისხმობენ სახელმწიფოს საბიუჯეტო ხარჯების წილს მშპ, რომელიც მოიცავს იმ შემოსავლებს რომელსაც სახელმწიფო საზოგადოებისაგან იღებს და თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს, რაც ემსახურება საბაზრო სისტემის „გარეთ“ არსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდებას საზოგადოებისათვის. ჩვენი აზრით მთავრობის ზომის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ის მაჩვენებელი რომელიც ცალკეულ პერიოდში უფრო მნიშვნელოვანია, რაზეც ეკონომიეტრიკული მოდელი მიგვითითებს, ერთპიროვნულად აღნიშნულის კანონიკურად განსაზღვრა არ იქნება მართებული სწორი ანალიზის გასაკეთებლად.

მთავრობის ზომის შესახებ არსებული მოდელები ძირითადად ორ ნაწილად იყოფა: ერთში შედის მეცნიერების რომლებიც ემხრობიან რ. ბაროს მტკიცებას, რომელიც მიუთითებს სახელმწიფო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფითი კორელაციის არსებობაზე, მეორე ნაწილი კი იზიარებს რ. ლევინისა და დ. რენალტის ჰიპოთეზას, რომელიც უარყოფს ბაროს ჰიპოთეზას და მიუთითებს დადებით კორელაციაზე სახელმწიფოს ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული კავშირის და მთავრობის ზომის ოპტიმალურის ზომის გამოსავლენად, ჩვენს მიერ განხორციელებულ კვლევას საფუძვლად დაედო შემდეგი თეორიული მოდელი, რომელიც მაკროეკონომიკურ წონასწორობას აღწერს შემდეგი ტოლობით:

$$Y^D = C(i, G) + I(i) + G$$

$$Y^S = Y^S(i, G)$$

სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურ კონიუქტურაზე ზემოწმედებს შემდეგი სახით: ა) მცირდება მოსახლეობის განკარგვადი შემოსავალი (სახელმწიფოს ხარჯების Dდაფინანსების წყაროა გადასახადები); ბ) მცირდება სამომხმარებლო ხარჯები, გამომდინარე იქიდან, რომ ნაწილი მოთხოვნის კმაყოფილდება სახელმწიფოს მიერ; გ) იზრდება მწარმოებლურობა საწარმოების, სახელმწიფო აფინანსებს ფუნდამენტურ კვლევებს, ხელს უწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ.

სახელმწიფო ხარჯების ერთი ერთეულით ზრდისას, მოსახლეობა ზოგავს სამომხმარებლო ხარჯებს a ერთეულით, წამოების მოცულობა იზრდება β ერთეულით. თუ $(a + \beta) > 1$ მაშინ ეკონომიკაში მიზანშეწონილია სახელმწიფო ხარჯების ზრდა. მოსახლეობა დაინტერესებულია სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან მიმართებაში გაიზარდოს იმ წერტილამდე სანამ არ მიაღწევს მის კრიტიკულ მნიშვნელობას $(a + \beta) = 1$. თუ სახელმწიფო ხარჯების შემდგომი ზრდა ერთჯერად ხასიათს ატარებს მაშინ მოსახლეობის ხელთ არსებული განკარგვადი შემოსავალი ერთჯერადად მცირდება, რისი კომპენსირება დანაზოგებიდან ხდება და მოხმარების სიდიდე პრაქტიკულად არ იცვლება, სამომხმარებლო დანაზოგები იზრდება საზოგადოებრივი საქონლი ზრდის შედეგად, ამ ეფექტის გათვალისწინებით ერთობლივი მოთხოვნა იზრდება $\Delta Y^D = \Delta G - a\Delta G$ სიდიდით, ერთობლივი მიწოდება $\Delta Y^S = \beta\Delta G$ სიდიდით. რეალურ ეკონომიკაში არის შემდეგი სიტუაცია $(a + \beta) < 1$, როცა ერთობლივი მოთხოვნის ზრდა აღემატება ერთობლივ მიწოდებას, რის შედეგად წონასწორობის აღსადგენად საქონლის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს დანაზოგების შემცირების შედეგად, რასაც მოჰყვება დეფიციტი კაპიტალის ბაზარზე.

სახელმწიფოს ხარჯების ერთჯერადი ზრდა იწვევს: წარმოებისა და დასაქმების დონის ზრდას, კერძო მოხმარება და ინვესტიციები მცირდება საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად; წარმოება იზრდება, მაგრამ გამოდევნის ეფექტის შედეგად წარმოების ზრდა მცირეა სახელმწიფოს ხარჯების ზრდასთან შედარებით, ე.ი. მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლებია.

სახელმწიფო ხარჯების მუდმივი ზრდა ამცირებს განკარგვად შემოსავალს არამართო მიმდინარე არამედ მომავალ პერიოდშიც, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯების ზრდა ამცირებს მოხმარებას და დანაზოგებს, სახელმწიფო ხარჯების ზრდა ტოლია სამომხმარებლო ხარჯების შემცირების. დამატებითი ხარჯები მთავრობის ზრდის წარმოების მოცულობას $\Delta Y^S = \beta\Delta G$. სახელმწიფო ხარჯების ერთჯერადი ზრდის შედეგად მოხმარება იზდება ამავე სიდიდით, შედეგად კი $\Delta Y^S = \beta\Delta G = \Delta Y^D$. სახელმწიფოს ხარჯების მუდმივი ზრდის შედეგად წარმოება იზრდება $\Delta Y = \beta\Delta G$, მოხმარება მცირდება $\Delta C = (1 - \beta)\Delta G$. სახელმწიფოს ხარჯების ზრდა გამოდევნის კერძო მოხმარებას.

აღნიშნულის თეორიული მიდგომის საფუძველზე ავსაგოთ შემდეგი მოდელი:

$$Y = AExp^\alpha Re v^\beta K^\lambda \quad (1)$$

სადაც A -არის ექსტემსიური ზრდის პარამეტრი, Exp -აღნიშნავს საბიუჯეტო ხარჯებს Rev -საბიუჯეტო შემოსავლებს, K - კაპიტალის ფორმირებას. α, β, λ ელასტიკურობის კოეფიციენტებია.

ცალკეული ცდებისა და მიების შედეგად გამოვლინდა (1)-ლი მოდელის ორმაგი ლოგარითმული ვარიანტის უპირატესობა:

$$\log Y = \log A + \alpha \log(Exp) + \beta \log(Rev) + \lambda \log(k) \quad (2)$$


2002-2008 წლების კვარტლური მონაცემების გამოყენებით, მეორე მოდელი საქართველს მაგალითზე შემდეგი სახისაა:

$$\log(Y) = 5.78 + 0.06 \log(Exp) + 0.12 \log(Rev) + 0.15 \log(k) + C(-0.07)D1$$

(24.07)
(0.81)
(1.63)
(2.15)
(-3.45)

$$R^2 = 0.92, \bar{R}^2 = 0.91, DW = 1.42$$

	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C(1)	5.784071	0.240229	24.07736	0.0000
C(2)	0.063712	0.078133	0.815429	0.4232
C(3)	0.121693	0.074535	1.632687	0.1162
C(4)	0.159577	0.073968	2.157366	0.0417
C(5)	-0.079412	0.026079	-3.045023	0.0057
R-squared	0.925508	Mean dependent var		7.974263
Adjusted R-squared	0.912553	S.D. dependent var		0.195909
S.E. of regression	0.057933	Akaike info criterion		-2.698620
Sum squared resid	0.077194	Schwarz criterion		-2.460727
Log likelihood	42.78068	Durbin-Watson stat		1.428987



როგორც ვხედავთ მოდელში ავტოკორელაციას ადგილი არა აქვს (უმნიშვნელო ავტოკორელაცია გამომდინარეობს კვარტლური მონაცემებისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან გამომდინარე, რაც სეზონურობის როლზე მიუთითებს, კერძოდ კი პირველი სეზონი. იხილეთ კორელოგრამა დანართში), მულტიკოლონიალურობა არის რომელზეც დაბალი ტ სტატისტიკები მიუთითებს მაგრამ დეტერმინაციის მაღალი კოეფიციენტიდან გამომდინარე მოდელის გამოსადეგია ჩვენს მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინა გადრკვეული დარსკვნების გამოსატანად. ფაქტორთა მნიშვნელობის გამოსავლენად გამოვიყენეთ სტანდარტიზებული კოეფიციენტები $\tilde{b}_{exp} = 0.06; \tilde{b}_{rev} = 0.09; \tilde{b}_k = 0.1$.


მოდელი მნიშვნელონად ახასიათებს ჩვენს მიერ გამოყენებული ფაქტორების მნიშვნელობას ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების პროცესში. კერძოდ როგორც მოსალოდნელი იყო ეკონომიკურ ზრდაზე კაპიტალის ფორმირების ზემოქმედება ამ ფაქტორებს შორის ყველაზე მაღალია. მოდელის საფუძველზე მივიღეთ, რომ ელასტიკურობის კოეფიციენტი საბიჯეტო შემოსავლების უფრო მაღალია ვიდრე საბიუჯეტო ხარჯების. სახელმწიფო ხარჯების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკას ზრდის 0.06%, საბიუჯეტო შემოსავლების ერთი პროცენტით ზრდა კი 0.12% ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.15%.

როგორც ვხედავთ საქართველოში მთავრობის ზომის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია საბიუჯეტო შემოსავლები, რაზეც სტანდარტიზებული კოეფიციენტები მიუთითებს. ამ უკანასკნელი მნიშვნელოვანი თავისებურებით შეგვიძლია გავამყაროთ შემდეგი ჰიპოთეზა

საბიუჯეტო დეფიციტის როლის შესახებ: იმ ქვეყნებს რომლებსაც საბიუჯეტო დეფიციტი გააჩნიათ, საბიუჯეტო ხარჯების ნაწილი წარმართვა წარსულში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის დასაფინანსებლად უწევთ, ეს უკანასკნელი კი მთავრობის ზომის ანალიზში მისი მნიშვნელოვნების შემცირებას იწვევს. რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლებს, საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში ის გვიჩვენებს თუ რა შემოსავალს იღებს ეკონომიკიდან სახელმწიფო წარსულში განხორციელებული საქმიანობისა და მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი ეკონომიკური ამოცანების შესასრულებლად. პროფიციტული ბიუჯეტის შემთხვევაში მთავრობის ზომის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ხარჯების ანალიზი. თანამედროვე პირობებში ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის საქართველო საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის წინაშე დგას, რაც მთავრობის ზომის ანალიზისას საბიუჯეტო შემოსავლების როლს ზრდის საბიუჯეტო ხარჯებთან შედარებით

მთავრობის ზომისა და ეკონომიკურ ზრდას შორის თანაფარდობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მთავრობის კრიტიკული ზომის ($(\alpha + \beta) = 1$) გამოვლენა, რომლის ზევით მთავრობის ზომის ზრდა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას ($(\alpha + \beta) < 1$). საქართველოს მაგალითზე აგებული მოდელის საფუძველზე გამოვლინდა საბიუჯეტო შემოსავლების უპირატესობა საბიუჯეტო ხარჯებთან შედარებით მთავრობის ზომის ანალიზისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოში მთავრობის კრიტიკული ზომა ($(\alpha + \beta) = 1$) მშპ-თან შეფარდებით 12%-ია (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1 საგადასახადო შემოსავლების ზღვრული პროდუქტი



მთავრობის ზომისა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული ურთიერთკავშირის, მთავრობის კრიტიკული ზომის უფრო ფართო და შედარებითი ანალიზისა და წამოყენებული ჰიპოთეზის მეტი სანდოობისათვის, ჩვენს მიერ აგებულ იქნა მეორე საზღვარგარეთის მოდელი, 1997-2006 წწ 28 ქვეყნის წლიური მონაცემების საფუძველზე. საქართველოს მაგალითზე აგებული მოდელისაგან განსხვავდებით, ამ მოდელში მშპ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით გაანგარიშებული. დანარჩენი მაჩვენებლები კი შესაბამისად მშპ-ში მათი წილის მიხედვით არის წარმოდგენილი.



საზღვარგარეთის მაგალითზე, მთავრობის ზომის მეორე მოდელი:

$$\log(Y) = 1.2 + 0.22 \log(Exp) + 0.26 \log(Re v) + 0.53 \log(k)$$

(56.3) (5.45) (6.93) (33.39)

$$R^2 = 0.99, \bar{R}^2 = 0.99, DW = 1.45$$

	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C(1)	1.198281	0.021277	56.31822	0.0000
C(2)	0.220500	0.040416	5.455735	0.0000
C(3)	0.261652	0.037708	6.938860	0.0000
C(4)	0.530289	0.015881	33.39205	0.0000
R-squared	0.997161	Mean dependent var		5.884240
Adjusted R-squared	0.997129	S.D. dependent var		1.479283
S.E. of regression	0.079268	Akaike info criterion		-2.217259
Sum of resid	1.671391	Schwarz criterion		-2.163949
Log likelihood	303.3300	Durbin-Watson stat		1.456545




როგორც ვხედავთ მოდელის სტატისტიკურად მისაღებია და აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ ძირითად კრიტერიუმებს, რაც ამ შედეგების აპროქსიმაციისა და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ასევე ფაქტორთა ნიშვნელოვნების გამოსავლენად გამოვიყენეთ სტანდარტიზებული კოეფიციენტები:

$$\tilde{b}_{exp} = 0.08; \tilde{b}_{rev} = 0.09; \tilde{b}_K = 0.089.$$

მოდელი მნიშვნელონად ახასიათებს ჩვენს მიერ გამოყენებული ფაქტორების მნიშვნელობას ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების პროცესში. კერძოდ როგორც მოსალოდნელი იყო ეკონომიკურ ზრდაზე კაპიტალის ფორმირების ზემოქმედება ამ ფაქტორებს შორის Y ყველაზე მაღალია. მოდელის საფუძველზე მივიღეთ, რომ ელასტიკურობის კოეფიციენტი საბიუჯეტო შემოსავლების უფრო მაღალია ვიდრე საბიუჯეტო ხარჯების. სახელმწიფო ხარჯების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკას ზრდის 0.22%, საბიუჯეტო შემოსავლების ერთი პროცენტით ზრდა კი 0.26% ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.53%-ით. საბიუჯეტო ხარჯები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე საბიუჯეტო ხარჯები, ამ მოდელშიც მნიშვნელოვანია ჰიპოთეზა საბიუჯეტო შემოსავლების შესახებ. ჩვენს მიერ გაანალიზებულ ქვეყნებში¹ მთავრობის კრიტიკული ზომა $(a + \beta) = 1$) საანალიზო პერიოდში მშპ-ში 26%-ის ტოლია, რომლის ზევით სახელმწიფო ხარჯების ზრდა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას $(a + \beta) < 1$) (დიაგრამა 2).

¹ ქვეყნების ჩამონათვალი და შესამაბისი მონაცემები იხილეთ დანართში.

დიაგრამა 2 მთავრობის კრიტიკული ზომა საზღვარგარეთის ქვეყნებში



როგორც ზემოთ ავლიშნეთ მთავრობის ზომის ანალიზის პროცესში აუცილებელია გამოვიყენოთ ის მაჩვენებელი რომელიც ეკონომეტრიკულად უფრო მისაღებია და მიგვითითებს ფაქტორების მნიშვნელოვნებაზე. ჩვენს მიერ შესწავლილ მოდელებში კი საბიუჯეტო შემოსავლები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სახელმწიფო ხარჯები მთავრობის ზომის ანალიზის პროცესში.

სტატის ფარგლებში განხორციელებული კვლევიდან ჩანს, რომ:

- მთავრობის ზომის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულია, რაც დამოკიდებულია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებზე. მთავრობის ამათუ იმ ზომაზე საუბარი (ან მშპ-ში სახელმწიფოს წილის დაფიქსირება) იმ კუთხით, რომ მოვახდინოთ აღნიშნულ კოეფიციენტებზე დაყრდნობით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დოზე საუბარი ეკონომიკურ რეალობასთან დაპირისპირებისას „სუსტია“. მთავარი არ არის „დიდი და მცირე ზომის სახელმწიფოს“ ქონა, მთავარია ისეთი მთავრობის ზომის არსებობა რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდის სტიმულირებას და მიღებული შედეგების საზოგადოების წევრებზე გადაანაწილებას;

- საქართველოში ელასტიკურობის კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ხარჯების ზრდა საქართველოში 0.06%-ით იწვევს ეკონომიკურ ზრდას, საბიუჯეტო შემოსავლები 0.12%, კაპიტალის ფორმირება კი 0.15%-ით;
- საქართველოს მაგალითზე აგებული ეკონომეტრიკული მოდელის საფუძველზე გამოვლინდა საბიუჯეტო შემოსავლების მაღალი მნიშვნელოვნება საბიუჯეტო ხარჯებთან შედარებით მთავრობის ზომის ანალიზის პროცესში, აღნიშნულის გათვალისწინებით მთავრობის კრიტიკული ზომა საქართველოში მშპ-ში 12%-ის ტოლია;
- საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკას ზრდის 0.22%, საბიუჯეტო შემოსავლების ერთი პროცენტით ზრდა კი 0.26% ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების ერთი პროცენტით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.53%. საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფოს კრიტიკული ზომა მშპ 26%-ის ტოლია;
- მთავრობის ზომის ანალიზის პროცესში აუცილებელია გამოვიყენოთ ის მაჩვენებელი რომელიც ეკონომეტრიკულად უფრო მისაღებია და მიგვითითებს ფაქტორთა მნიშვნელოვნებაზე. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე აგებულ მოდელში, საბიუჯეტო შემოსავლები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სახელმწიფო ხარჯები მთავრობის ზომის ანალიზის პროცესში. ამ უკანასკნელი მნიშვნელოვანი თავისებურებით შეგვიძლია გავამყაროთ შემდეგი ჰიპოთეზა: იმ ქვეყნებს რომლებსაც საბიუჯეტო დეფიციტი გააჩნიათ, საბიუჯეტო ხარჯების ნაწილი წარმართვა წარსულში განხორცილებული ეკონომიკური პოლიტიკის დასაფინანსებლად უწევთ, ეს უკანასკნელი კი მთავრობის ზომის ანალიზში მისი მნიშვნელოვნების შემცირებას იწვევს. რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავლებს, საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში ის გვიჩვენებს თუ რა შემოსავალს იღებს ეკონომიკიდან სახელმწიფო წარსულში განხორცილებული საქმიანობისა და სამომავლოდ დაგეგმილი ეკონომიკური ამოცანების შესასრულებლად. პროფიციტული ბიუჯეტის შემთხვევაში მთავრობის ზომის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ხარჯების ანალიზი. ჩვენს მიერ განხილულ ქვეყნების უმრავლესობაში საბიუჯეტო ხარჯების ზრდა არაერთჯერად ხასიათს ატარებს რაც მოსახლეობის დანაზოგებისა და მოთხოვნის შემცირებას იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Alberto Alesina; Lawrence H. Summers, „Central Bank Independence and Macroeconomic Performance: Some Comparative Evidence”. *Journal of Money, Credit and Banking*, Vol. 25, No. 2. May, 1993.
- Robert Lucas, “Econometric Policy Evaluation: A critique”, *Carnegie Rochester Conference series on Public Policy*, No.1, 1976.
- Robert Mundell, “The Monetary Dynamics of International Adjustment under fixed and Flexible Exchange Rates”. *Quarterly Journal of Economics*, May 1960.
- Robert Barro, “Are Government bonds Net wealth?”. „*Journal of political Economy*, 1974.
- Barro, Robert J. “Government Spending in a Simple Model of Endogenous Growth.” *Journal of Political Economy* 98 (1990): S103-S125.
- Robert J. Barro, David B. Gordon, “RULES, DISCRETION AND REPUTATION IN A MODEL OF MONETARY POLICY”. *NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH*, 1050 Massachusetts Avenue, Cambridge MA 02138, February 1983.
- J. Timbergen. „On the theory of economics policy”. North-Holland publishing company Amsterdam. Oxford American Elsevier publishing company, INg.- New York. 1952.
- J. Gwartney., R. Lawson., R. Holcombe. *The size and Function of Government and Economic Growth*. Prepared for the Joint Economics Committee, Jim Saxton, Chairman, April 1998.
- N. Khaduri. *Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia*. *Problems of Economic Transition*, vol. 48, no. 4, August 2005
- А. Илларионов., Н. Пивоварова. *Размеры государства и экономический рост*. *Вопросы Экономики №9*, М.: 2002.
- А. Илларионов. *Платить или не платить. Альтернативные стратегии снижения бремени государственного внешнего долга*. *Вопросы Экономики №10*, М.: 2001.
- С. Пономаренко. *Финансовый сектор и издержки инфляции в странах с переходной экономикой*. – М.: ИЭПП, 2004.

ვებ-გვერდები:

- www.statistic.ge
- www.nbg.gov.ge
- www.mof.ge
- www.economy.ge
- www.worldbank.com
- www.lmf.org
- www.oecd.org
- www.iea.ru

დანართი

ქვეყნები	მშპ									
	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1. ავსტრალია	3,7	5,4	4,3	3,3	2,7	3,6	3,3	2	3,8	3,6
2. ავსტრია	1,8	3,6	3,3	3,4	0,7	1,2	0,8	3,6	2,3	2,6
3. ბელგია	3,8	2,1	3,2	3,7	0,9	0,9	1,3	1,8	2,4	2,7
4. კანადა	4,2	4,1	5,5	5,2	1,8	3,4	2	2,7	3,3	3,1
5. ჩეხეთი	-0,7	-1,1	1,2	3,9	2,6	1,5	3,1	3	4,2	4,1
6. დანია	3	2,5	2,6	2,8	1,6	1	0,5	3,9	2,7	2,6
7. ფინეთი	6,5	4,9	3,2	5,4	1	2,3	2,1	2,4	2,8	3,1
8. საფრანგეთი	1,9	3,6	3,2	4,2	2,1	1,1	0,5	3,1	2	2,3
9. გერმანია	1,5	1,7	1,9	3,1	1	0,1	-0,1	2,1	1,4	2,3
10. საბერძნეთი	3,6	3,4	3,4	4,5	4,3	3,6	4,5	1,2	3,2	3,5
11. უნგრეთი	4,6	4,9	4,2	5,2	3,8	3,5	2,9	3,8	3,6	3,5
12. ისლანდია	4,7	5,5	4,1	5,7	2,2	0,5	4,1	3,9	5,2	4,8
13. ირლანდია	10,8	8,7	11,1	9,9	6	6,1	3,6	5,9	5,5	4,9
14. იტალია	2	1,7	1,7	3,2	1,7	0,4	0,4	4,9	1,7	2,1
15. იაპონია	1,9	-1,1	0,1	2,8	0,4	-0,3	2,5	1,3	2,1	2,3
16. სამხრეთ კორეა	4,7	-6,9	9,5	8,5	3,8	7	3,1	4	4,5	5
17. ლუქსემბურგი	8,3	6,9	7,8	9	1,5	2,5	2,9	5	4,5	4,3
18. ნიდერლანდები	3,8	4,3	4	3,5	1,4	0,6	-0,9	4,2	1,2	2,4
19. ახალი ზერლანდია	2,9	0,2	4,9	3,6	2,7	4,5	3,2	1,2	2,1	2,6
20. ნორვეგია	5,2	2,6	2,1	2,8	2,7	1,4	-0,4	4,8	3,2	2,9
21. პოლონეთი	6,8	4,8	4,1	4	1	1,4	3,3	3,2	4,3	4,5
22. პორტუგალია	4	4,9	3,8	3,4	1,6	0,4	-1,2	5,4	2,2	2,8
23. სლოვაკეთი	4,6	4,2	1,5	2	3,8	4,4	4,2	1,5	4,8	5
24. ესპანეთი	4	4,3	4,2	4,4	2,8	2,2	2,5	4,9	2,7	3
25. შვედეთი	2,6	3,7	4,3	4,4	1,2	2	1,7	2,6	3,3	3,2
26. შვეიცარია	1,9	2,8	1,3	3,6	1	0,3	-0,7	3,3	1,9	2
27. აშშ	3,3	3,1	2,9	3,9	2,3	1,8	2,2	1,9	2,6	2,4
28. დიდი ბრიტანეთი	4,5	4,2	4,4	3,7	0,8	1,9	3	3,2	3,3	3,6

ქვეყნები	საბიუჯეტო შემოსავლები (%-ი მშპ)									
	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1. ავსტრალია	29,2	30	30,5	31,1	29,6	30,5	30,6	31,1	30,8	30,6
2. ავსტრია	43,9	44	43,6	42,6	44,6	43,6	43,3	42,8	42,1	41,7
3. ბელგია	44,5	45,2	45,2	44,9	44,9	45	44,6	44,8	44,8	44,5
4. კანადა	36,7	36,7	36,4	35,6	34,8	33,7	33,7	33,7	33,4	33,3
5. ჩეხეთი	36,3	34,9	35,8	35,3	35,6	36,3	37,3	37,8	37,5	36,9
6. დანია	48,9	49,3	50,1	49,4	48,4	47,8	48	49	50,7	49,1
7. ფინეთი	46,3	46,1	45,8	47,2	44,6	44,6	44	43,4	43,9	43,5
8. საფრანგეთი	44,4	44,2	45,1	44,4	44	43,4	43,2	43,5	43,9	44,2
9. გერმანია	36,2	36,4	37,1	37,2	36,1	35,4	35,5	34,8	34,8	35,6
10. საბერძნეთი	30,3	32	32,9	34,1	33	33,3	32,2	31,2	31,3	31,3
11. უნგრეთი	38	37,8	38,1	38	38	37,8	37,5	37,6	37,2	37,1
12. ისლანდია	32,2	34,5	36,9	37,2	35,4	35,3	36,7	38	40,7	41,5
13. ირლანდია	31,7	31,3	31,4	31,7	29,5	28,2	28,7	30,1	30,6	31,9
14. იტალია	43,2	41,7	42,5	42,3	42	41,4	41,8	41	40,9	42,1
15. იაპონია	27,2	26,8	26,3	27	27,3	26,2	25,7	26,3	27,4	27,9
16. სამხრეთ კორეა	21	21,1	21,5	23,6	24,1	24,4	25,3	24,6	25,5	26,8
17. ლუკსემბურგი	39,3	39,4	38,3	39,1	39,7	39,3	38,3	37,3	37,8	35,9
18. ნიდერლანდები	17,5	16,6	17,3	18,5	18,8	18,1	19	19	19,9	20,6
19. ახალი ზერლანდია	40,9	39,1	40,1	39,7	38,2	37,5	36,9	37,3	38,8	39,3
20. ნორვეგია	35	33,4	33,4	33,6	33	34,4	34,2	35,3	37,5	36,7
21. პოლონეთი	41,5	42,4	42,7	42,6	42,9	43,1	42,3	43,3	43,5	43,9
22. პორტუგალია	35,2	34,6	32,4	31,6	33,5	36,3	32,9	32,3	32,9	33,5
23. სლოვაკეთი	32,7	32,9	33,9	34,1	33,8	34,5	34,7	33,9	34,7	35,7
24. ესპანეთი	30	36,5	35	33,8	33	33	33,4	31,8	31,8	29,8
25. შვედეთი	32,9	33,2	34,1	34,2	33,8	34,2	34,2	34,6	35,8	36,6
26. შვეიცარია	50,6	51	51,4	51,8	49,8	47,9	48,3	48,7	49,5	49,1
27. აშშ	27,6	28,5	28,7	30	29,5	29,9	29,2	28,8	29,2	29,6
28. დიდი ბრიტანეთი	20,7	21,1	23,1	24,2	26,1	24,6	25,9	24,1	24,3	24,5

ქვეყნები	საბიუჯეტო ხარჯები (%-ი მშპ)									
	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1. ავსტრალია	36,8	36,7	35,8	35,7	37,2	36,3	36	37	35,8	35,4
2. ავსტრია	53,1	53,4	53,2	51,4	50,9	50,6	50,8	35,7	49,4	48,2
3. ბელგია	51,4	50,7	50	49,3	49,3	50,2	51	49,9	49,5	49,1
4. კანადა	44,3	44,4	42,5	41,1	41,8	40,9	40,5	49,2	38,9	38,8
5. ჩეხეთი	42,4	43,8	42,9	42,1	45	46,9	54,5	39,2	45,8	45,2
6. დანია	58	57,6	56,3	54,9	55,3	55,8	56,1	46,1	54,6	54,1
7. ფინეთი	56,4	52,8	52,1	49,1	49,1	50,1	51	55,6	50,6	50,4
8. საფრანგეთი	54,9	53,7	53,5	52,5	52,5	53,4	54,5	50,5	54,4	53
9. გერმანია	49,3	48,8	48,7	45,7	48,3	48,7	48,8	54,5	47,2	46
10. საბერძნეთი	47,8	47,8	47,6	52,1	50,2	49,1	48,3	47,8	48,4	48,1
11. უნგრეთი	51,8	52,5	50,2	47,8	49	52,6	49,7	49,8	50,7	50
12. ისლანდია	41,6	42,4	43,5	43,1	44,1	45,8	48	51,3	44,5	43
13. ირლანდია	37,1	34,9	34,5	32	33,5	33,8	34,3	45,9	34	34,3
14. იტალია	51,1	49,9	48,9	46,9	48,7	48	48,9	33,9	48,3	48,7
15. იაპონია	35,1	36,1	37,7	38,2	37,7	38,1	37,6	48,7	37,2	37,5
16. სამხრეთ კორეა	22,4	24,7	23,9	23,8	25	24,8	27,3	36,7	28,2	28,3
17. ლუქსემბურგი	43,3	42	41,2	38,7	38,8	43,1	44,9	27,9	45,6	45,6
18. ნიდერლანდები	48,2	47,2	46,9	45,3	46,7	47,8	49	45,3	48,6	47,8
19. ახალი ზერლანდია	41,7	42,7	41	39,8	38,6	38,5	38,3	48,9	38,7	39,1
20. ნორვეგია	47,2	49,6	48,1	42,7	44,3	47,4	48,7	38,2	45,1	45
21. პოლონეთი	50,2	48,5	48,1	44,9	47,6	48,9	48,2	46,7	46,6	45
22. პორტუგალია	44,8	44,1	45,3	45,2	46,3	45,9	47,7	47,7	47,3	47
23. სლოვაკეთი	65	60,8	56,9	59,9	51,5	51	39,4	48	39	38,1
24. ესპანეთი	41,8	41,4	40,2	40	39,6	39,9	39,6	39,2	40,2	40,1
25. შვედეთი	62,9	60,7	60,3	57,3	57	58,2	58,2	41	57,2	65,7
26. შვეიცარია	35,6	36,1	34,6	34	34,8	35,4	36	57,5	35,7	35,2
27. აშშ	41,4	34,6	39,7	34	35	36	35,6	36	35,6	35,7
28. დიდი ბრიტანეთი	35,3	40,2	34,2	37,5	41	41,8	36	35,6	45	45,6